

ფიზიკური და პოლიტიკური რუკები



გახსენე, როგორი რუკები გინახავს. როდის და რა მიზნით გამოგიყენებია რომელიმე მათგანი?

გინდა გაიგო, სად რა მდებარეობს დედამიწაზე? გაინტერესებს ქალაქები და ქვეყნები, სადაც არასდროს ყოფილხარ? გინდა იპოვო ყველაზე მოხერხებული გზა უცნობ ადგილებში სამოგზაუროდ? ალბათ, უკვე ხვდები, რა დაგჭირდება ამისათვის. დიახ, რუკა!

რუკა არის ნახატი, რომელზეც გამოსახულია მთელი დედამიწა ან მისი რომელიმე ნაწილი. ეს შეიძლება იყოს კონტინენტი, ქვეყანა, მხარე, ქალაქი ან სოფელი.

შენ შეგიძლია სურათი გადაულო სახლს, სადაც ცხოვრობ. შეგიძლია გადაილო შენი ეზო ან ქუჩა. რაც არ უნდა დიდი იყოს სახლი, ეზო ან ქუჩა, სურათი მასზე უფრო პატარა იქნება. იგი შეიძლება ისე მცირე ზომის იყოს, რომ ხელის გულზე დაგეტიოს. ასეთ სურათს ჰგავს რუკაც. ქალაქი, ქვეყანა ან მთელი დედამიწა ერთ ფურცელზე, კომპიუტერის ან სმარტფონის ეკრანზე შეიძლება დაეტიოს.

რუკა ათასნაირია: დიდი ან პატარა, ზღვის ან ხმელეთის, სასწავლო ან ტურისტული... მოდი **ამჯერად** ფიზიკური და პოლიტიკური რუკები განვიხილოთ.

ფიზიკურ რუკაზე გამოსახულია რელიეფი. რელიეფი მიწის ზედაპირის ფორმაა. ზედაპირი კი ზოგან **ამოზურცულია**, ზოგან – ჩაზურცული. ასეთ ადგილებს რუკაზე ხელით ვერ მოსინჯავ. თუმცა შეგიძლია „დაინახო“, თუ რუკის კითხვა იცი.

ფიზიკური რუკის კითხვა რთული არაა. სადაც მონითალო ან მოყავისფრო ფერებს დაინახავ, იცოდე, რომ იქ მთაა. სადაც ყვითელი ფერია – იქ მაღლობია. სადაც მწვანე ფერია – იქ დაბლობია. **მარადიული** თოვლითა და ყინულით დაფარული ადგილები შეიძლება თეთრად იყოს გამოსახული რუკაზე. ცისფრად კი აღნიშნავენ ტბებს, ზღვებსა და ოკეანეებს. ლურჯად ხატავენ მდინარეებს.

პოლიტიკურ რუკაზეც ძალიან ბევრი ფერია. მაგრამ აქ ფერებით მთებსა და დაბლობებს კი არა, ქვეყნებს აღნიშნავენ. ყველა ქვეყანა სხვადასხვა ფერით არის შეღებილი. მაგალითად: პოლიტიკურ რუკებზე თუ ერთი ქვეყანა ვარდისფერია, მეორე ყვითელია, მესამე – მომწვანო და ასე შემდეგ. ეს საჭიროა იმისთვის, რომ კარგად გავარჩიოთ ისინი ერთმანეთისგან. ფერებით ვხედავთ, რომელი ქვეყანაა უფრო დიდი და რომელი – პატარა. რომელი ქვეყნის საზღვარი სად გადის. მთელ პოლიტიკურ რუკაზე ქვეყნებს შორის საზღვარი აღინიშნება მუქი ხაზით. ის შეიძლება იყოს ერთი რომელიმე ფერის: წითელი, შავი ან სხვ.

აბა ნახე, რა ფერისაა რუკაზე საქართველო.

ქვეყნების შესახებ რა ინფორმაციას იძლევა პოლიტიკური რუკა?

▶▶▶ ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რა აქვთ საერთო პოლიტიკურ და ფიზიკურ რუკებს?

- ა) ორივე რუკაზე გამოსახულია მთელი დედამიწა ან მისი ნაწილი.
- ბ) ორივე რუკაზე დედამიწის რელიეფია გამოსახული.
- გ) ორივე რუკაზე ქვეყნები სხვადასხვა ფერით არის გამოსახული.

2 პოლიტიკურ რუკაზე განსხვავებული ფერებით აღნიშნავენ:

- ა) დედამიწის რელიეფს.
- ბ) სხვადასხვა ქვეყანას.
- გ) ქვეყნების საზღვრებს.

3 რით განსხვავდება ფიზიკური რუკა პოლიტიკურისაგან?

- ა) ფიზიკურ რუკას აქვს ტურისტული დანიშნულება, პოლიტიკურს – სასწავლო.
- ბ) ფიზიკური რუკის ფერები გარკვეულ ინფორმაციას გვანდის, პოლიტიკურისა – არა.
- გ) ფიზიკურ რუკაზე გამოსახულია რელიეფი, პოლიტიკურზე – ქვეყნები.

4 რომელი წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს?

- ა) რუკაზე დედამიწა მხოლოდ შემცირებული ზომით გამოისახება.
- ბ) ფიზიკურ რუკაზე მხოლოდ ზღვების აღნიშვნაა შესაძლებელი.
- გ) ფერები მხოლოდ პოლიტიკური რუკის წაკითხვაში გვეხმარება.

5 მოცემული ტექსტის ძირითადი მიზანია დაგვანახოს:

- ა) დედამიწის რომელი ნაწილი შეიძლება გამოისახოს რუკაზე.
- ბ) რით განსხვავდება ფიზიკური რუკა პოლიტიკური რუკისაგან.
- გ) რომელი ფერების გამოყენება შეიძლება რუკის შედგენისას.

ლექსიკა

1 გაარკვეე წინადადებებში საზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. **ამჯერად** ფიზიკური და პოლიტიკური რუკები უნდა განვიხილოთ.

- ა) ამიერიდან. ბ) ამის შემდეგ. გ) ახლა.

2. ხმელეთის ზედაპირი ზოგან **ამთბურცულია**.

- ა) ამოზნექილი. ბ) გადასნორებული. გ) მომრგვალებული.

3. **მარადიული** თოვლით დაფარული ადგილები თეთრად არის გამოსახული.

- ა) გაყინული. ბ) მუდმივი. გ) ჭარბი.

2 რომელია ზედმეტი სიტყვა?

1. ა) სახლი. ბ) სოფელი. გ) ქალაქი. დ) ქვეყანა.

2. ა) ზღვა. ბ) ოკეანე. გ) სანაპირო. დ) ტბა.

3 თითოეულ სიტყვას მიუწერე მსგავსი და საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები.

სიტყვა	სინონიმი	ანტონიმი
<i>მთელი</i>	<i>ერთიანი</i>	<i>ნაწილი</i>
რთული		
ბევრი		
პატარა		
სქელი		

გრამატიკა

1 სწორად შეარჩიე სიტყვა და დაწერე.

1. რუკაზე გამოსახულია დედამიწა ან ----- რომელიმე ნაწილი. *(მისი / თავისი)*

2. საზღვარი ერთი და ----- ფერით არის აღნიშნული. *(იგივე / იმავე)*

პრამატიკა

2 დაწერე სიტყვები მრავლობით რიცხვში.

1. ფურცელი – -----

3. სოფელი – -----

2. მდინარე – -----

4. ოკეანე – -----

3 დაწერე ზედსართავი სახელები ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ოდნავ წითელი – მონითალო.

1. ოდნავ მწვანე – -----

2. ოდნავ ლურჯი – -----

4 დაწერე ნიმუშის მიხედვით.


ნიმუში: ის, რაც დახატეს, დახატულია.

1. ის, რაც გამოსახეს, -----

2. ის, რაც დაფარეს, -----

წერა

1 შეადარე ერთმანეთს ფიზიკური და პოლიტიკური რუკები. ჩაწერე ვენის დიაგრამაში მათი მახასიათებლები.



2 წარმოიდგინე, რომ შენი უცხოელი მეგობარი აპირებს საქართველოში ჩამოსვლას. გაუგზავნე მას გაფერადებული რუკა. შეარჩიე საქართველოს რომელიმე კუთხე. შეეცადე, შენს მეგობარს მისწერო ტურისტისთვის საინტერესო ინფორმაცია ამ კუთხის შესახებ.